

# საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს

## საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია

### მუხლი 1. საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ზოგადი რეგულაციები

1. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობის სფეროში სტუდენტის არგუმენტაციის ანალიზისა და სინთეზის უნარი, ასევე პრობლემების ხედვის თუ შეფასების შესაძლებლობები.
2. საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსების/პრაქტიკის (არსებობის შემთხვევაში) შესრულება;
3. საბაკალავრო ნაშრომების საჯარო დაცვისათვის იქმნება სპეციალური დარგობრივი კომისია, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს რექტორი. კომისია უნდა შედგებოდეს მაქსიმუმ 5 წევრისაგან. კომისიის თავმჯდომარე არის ფაკულტეტის დეკანი ან შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი; საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის მსვლელობასა და შედეგებზე დგება საბოლოო ოქმი.
4. დამამთავრებელი სემესტრის დაწყებისთანავე საბაკალავრო ნაშრომების თემატიკის ჩამონათვალს ადგენს შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი;
5. სტუდენტისთვის საბაკალავრო თემის და ხელმძღვანელის დამტკიცება ხდება დამამთავრებელი სემესტრის დასაწყისში შესაბამისი ფაკულტეტის დეკანების წარდგინების საფუძველზე რექტორის ბრძანებით;
6. საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტს განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. რეცენზენტი წერს მოკლე რეზიუმეს ნაშრომის შესახებ, რომელიც წარედგინება შესაბამის კომისიას ნაშრომის საჯარო დაცვამდე. რეცენზენტი ვალდებულია უარყოფითი დასკვნის შესახებ წინასწარ (ორი კვირით ადრე მაინც) აცნობოს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელსა და სტუდენტს. დიპლომის დანართში საბაკალავრო ნაშრომი შედის, როგორც ცალკე პუნქტი და ფასდება, როგორც სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული შემაჯამებელი სავალდებულო კომპონენტი.
7. კომისიას უნდა წარედგინოს საბაკალავრო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი.
8. ნაშრომის საჯარო დაცვის რეგლამენტი განისაზღვრება სულ მცირე 15 წუთით; დაცვის პროცესში ბაკალავრს შეუძლია საილუსტრაციო მასალის გამოყენება.
9. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია ზედამხედველობდეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პროცესს, გაუწიოს მას სათანადო კონსულტაციები (საკონტაქტო საათები), შეაფასოს საბაკალავრო ნაშრომის მომზადების პროცესი (შეუალეღური შეფასება);

### მუხლი 2 . საბაკალავრო ნაშრომის შეფასება

1. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება ორ ეტაპად: შუალედური და დასკვნითი შეფასების სახით. შეფასების კრიტერიუმები: სულ - 100 ქულა, მათ შორის შუალედური შეფასება - 70 ქულა, დასკვნითი შეფასება - 30 ქულა.

**აქტიურობა (მაქსიმალური 52 ქულა)**

ა) სტუდენტი მოვალეა ხელმძღვანელს სემესტრში შეხვდეს მინიმუმ კვირაში 2 ჯერ, სულ თითოეულ შეხვედრაზე გამოცხადება და აქტივობა ფასდება მაქსიმუმ 1 ქულით (კვირაში 2 ქულა) (15X2=30); სულ-30 ქულა.

**აქტიურობის შეფასების კრიტერიუმებია:**

სტუდენტი აქტიურობს, ადეკვატურად სვავს და პასუხობს შეკითხვებს, ითვალისწინებს ხელმძღვანელის შენიშვნებს - 1 ქულა;

სტუდენტი სვავს კითხვებს, ვერ პასუხობს ადეკვატურად შეკითხვებს, ითვალისწინებს ხელმძღვანელის შენიშვნებს- 0,5 ქულა;

სტუდენტი არ გამოცხადდა შეხვედრაზე - 0 ქულა.

**ბ) საბაკალავრო ნაშრომის შეფასება რეცენზენტის მიერ-მაქსიმუმ 22 ქულა**

შეფასების კრიტერიუმები:

**ბ.1 კვლევის თემა -8 ქულა**

კვლევის საკითხი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული 8-6 ქულა;

კვლევის საკითხი ნაწილობრივ არის ჩამოყალიბებული 5-3 ქულა;

კვლევის საკითხი ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული 2-1 ქულა;

კვლევის საკითხი ბუნდოვანია 0 ქულა

**ბ.2. დარგობრივი ცოდნა - 7 ქულა**

სტუდენტს შეუძლია მსჯელობა საკვლევი თემის გარშემო (რა ეტაპზეა საკვლევი თემა, რა გაიგო ახალი და როგორ აპირებს კვლევის შემდგომ წარმართვას - 7-6 ქულა;

სტუდენტს შეუძლია ზოგადი მსჯელობა საკვლევი თემის გარშემო, წარმოდგენა აქვს კვლევის სამომავლო გეგმის შესახებ - 5-4 ქულა;

სტუდენტი კარგად არ იცნობს საკვლევ თემას. არ არის ჩამოყალიბებული კვლევის შემდგომი სტრატეგია - 3-2 ქულა;

სტუდენტი არ იცნობს საკვლევ თემას - 1-0 ქულა

**ბ.3. მიმდებელი ლიტერატურის ხარისხი - 7 ქულა**

არის ლიტერატურის/მონაცემების ჩამონათვალი. სტუდენტი იცნობს ლიტერატურას/მონაცემებს, აქვს გაკეთებული მოკლე მიმოხილვა, შეუძლია აღნიშნული წყაროების რელევანტურობის დასაბუთება - 7-6 ქულა;

ლიტერატურის/მონაცემების ჩამონათვალს აკლია ზოგიერთი ინფორმაცია. მიმოხილვა გაკეთებულია არასრულად, სტუდენტი ნაწილობრივ ასახელებს აღნიშნული წყაროების რელევანტურობას - 5-4 ქულა;

ლიტერატურის/მონაცემების ჩამონათვალი არ არის სრული სახით, აკლია საკითხისათვის მნიშვნელოვანი წყაროები. საკვლევი თემის მიმოხილვა ზედაპირულია - 3-2 ქულა;

არ არის დამუშავებული საკვლევი ლიტერატურა - 1-0 ქულა.

**შუალედური გამოცდა -მაქსიმალური 18 ქულა**

ტარდება მე-7 სასწავლო კვირას და ფასდება მე-6 კვირის ჩათვლით სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო საბაკალავრო ნაშრომის გარშემო. მოწმდება საბაკალავრო ნაშრომის მომზადების დონე, რომელსაც აფასებს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი შემდეგი კრიტერიუმებით:

**ბ.1. კვლევის თემა - 6 ქულა**

კვლევის საკითხი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული 6-5 ქულა;

კვლევის საკითხი ნაწილობრივ არის ჩამოყალიბებული 4-3 ქულა;

კვლევის საკითხი ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული 2-1ქულა;

კვლევის საკითხი ბუნდოვანია 0 ქულა

**ბ.2. დარგობრივი ცოდნა - 6 ქულა**

სტუდენტს შეუძლია მსჯელობა საკვლევი თემის გარშემო (რა ეტაპზეა საკვლევი თემა, რა გაიგო ახალი და როგორ აპირებს კვლევის შემდგომ წარმართვას - 6-5 ქულა;

სტუდენტს შეუძლია ზოგადი მსჯელობა საკვლევი თემის გარშემო, წარმოადგენს აქვს კვლევის სამომავლო გეგმის შესახებ - **4-3 ქულა;**

სტუდენტი კარგად არ იცნობს საკვლევ თემას. არ არის ჩამოყალიბებული კვლევის შემდგომი სტრატეგია - **2-1 ქულა;**

სტუდენტი არ იცნობს საკვლევ თემას - **0 ქულა**

### **ბ.3. მოძიებული ლიტერატურის ხარისხი - 6 ქულა**

არის ლიტერატურის/მონაცემების ჩამონათვალი. სტუდენტი იცნობს ლიტერატურას/მონაცემებს, აქვს გაკეთებული მოკლე მიმოხილვა, შეუძლია აღნიშნული წყაროების რელევანტურობის დასაბუთება - **6-5 ქულა;**

ლიტერატურის/მონაცემების ჩამონათვალს აკლია ზოგიერთი ინფორმაცია. მიმოხილვა გაკეთებულია არასრულად, სტუდენტი ნაწილობრივ ასახელებს აღნიშნული წყაროების რელევანტურობას - **4-3 ქულა;**

ლიტერატურის/მონაცემების ჩამონათვალი არ არის სრული სახით, აკლია საკითხისათვის მნიშვნელოვანი წყაროები. საკვლევი თემის მიმოხილვა ზედაპირულია - **2-1 ქულა;**

არ არის დამუშავებული საკვლევი ლიტერატურა - **0 ქულა**

### **დასკვნითი გამოცდა - 30 ქულა (საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა/პრეზენტაცია**

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია:

#### **1. ნაშრომის ვიზუალური და ტექნიკური მხარე - 8 ქულა:**

##### **1.1. ვიზუალური მხარე - 4 ქულა:**

- ვიზუალური მხარე სრულყოფილია, გამოყენებული აქვს მრავალფეროვანი თვალსაჩინოებები - **4 ქულა;**

- ვიზუალური მხარე არასრულყოფილია, თვალსაჩინოებები არ არის მრავალფეროვანი - **3 ქულა;**

- ვიზუალური მხარე ნაწილობრივ მოწესრიგებულია, თვალსაჩინოების გამოყენება ზოგიერთ შემთხვევაში არაადეკვატურია - **2 ქულა;**

- გაფორმებულია ნაშრომის მხოლოდ პირველი გვერდი, წარმოადგინა თვალსაჩინოებები და ვერ გამოიყენა - **1 ქულა;**

- არ არის მოწესრიგებული ვიზუალური მხარე, არ წარმოადგინა თვალსაჩინოებები - **0 ქულა;**

##### **1.2. ტექნიკური მხარე - 4 ქულა:**

- ტექნიკური მხარე სრულყოფილია - **4 ქულა;**

- ტექნიკურმხარეშიმცირედი შეცდომებია - **3 ქულა;**

- ტექნიკური მხარე ნაწილობრივ მოწესრიგებულია - **2 ქულა;**

- შრიფტი დაცულია და ინტერვალები და აბზაცები არ არის დაცული - **1 ქულა;**

- არ არის მოწესრიგებული ტექნიკური მხარე - **0 ქულა.**

#### **2. ნაშრომის შინაარსობრივი მხარე - 22 ქულა:**

##### **2.1. ნაშრომის სისრულე - 4 ქულა**

- საკვლევი თემა სრულად არის წარმოდგენილი და პასუხობს ყველა დასმულ შეკითხვას - **4 ქულა;**

- საკვლევი თემაპასუხობს ყველა მთავარ კითხვას, მაგრამ რამდენიმე საკითხი არ არის სრულად წარმოდგენილი - **3 ქულა;**

- საკვლევი თემაშიგამოტოვებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი განსახილველი საკითხი - **2-1 ქულა;**

- კვლევის ანგარიშში არ შედის საკითხების უდიდესი ნაწილი - **0 ქულა**

##### **2.2. მსჯელობა და არგუმენტაცია - 4 ქულა:**

- მსჯელობა დასაბუთებული და არგუმენტირებულია. მოსაზრებები ნათლად არის წარმოდგენილი - **4 ქულა**;
- მსჯელობა დასაბუთებულია, მაგრამ არგუმენტების ნაწილი არ არის ნათლად წარმოდგენილი- **3-2 ქულა**;
- მსჯელობა დასაბუთებულია, მაგრამ არგუმენტების დიდი ნაწილი არათანამიმდევრული, არალოგიკურია - **1 ქულა**;
- მსჯელობა არ არის არგუმენტირებული და დასაბუთებული - **0 ქულა**.

**2.3.ლიტერატურის გამოყენების ხარისხი - 4 ქულა:**

- სტუდენტი კარგად იცნობს საკვლევ საკითხთან დაკავშირებულ ლიტერატურას და იყენებს საკითხის შესაბამისად. პირველადი მონაცემები გაანალიზებულია და გააზრებულად არის დემონსტრირებული - **4 ქულა**;
- ლიტერატურა გამოყენებულია ძირითადად, მაგრამ აკლია რამდენიმე მნიშვნელოვანი სტატია. პირველადი მონაცემები გამოყენებულია, მაგრამ ზოგჯერ ზედაპირულადაა დემონსტრირებული - **3 ქულა**;
- გამოყენებული ლიტერატურა არ არის საკმარისი. პირველადი მონაცემები მინიმალურადაა გამოყენებული - **2-1 ქულა**;
- ლიტერატურა გამოყენებულია ძირითადად არარელევანტურად და გაუაზრებლად - **0 ქულა**

**2.4. აგებულება და ენობრივი გამართულობა - 4 ქულა:**

- ტექსტის საერთო ფორმა გამართულია, აბზაცებს შორის არის ლოგიკური ბმულობა, დაცულია ციტირების წესები - **4 ქულა**;
- ტექსტის საერთო ფორმა გამართულია, ხანდახან დარღვეულია აბზაცების სტრუქტურა. დაშვებულია უმნიშვნელო რაოდენობის ციტირების შეცდომა - **3 ქულა**;
- ტექსტის შინაარსი იკითხება, მაგრამ არ არის ბოლომდე გამართული. ციტირებაში არის შეცდომები - **2-1 ქულა**;
- ტექსტის შინაარსი და აგებულება ისეთი ფორმითაა მოცემული, რომ ჭირს საერთო აზრის გაგება. ციტირება გაკეთებულია არასწორად - **0 ქულა**

**2.5. გადმოცემის, პრეზენტაციის უნარი – მაქსიმალური 3 ქულა:**

- პრეზენტაცია კარგია და სრული კომუნიკაცია აუდიტორიასთან – **3 ქულა**
- პრეზენტაცია კარგია, მაგრამ აკლია კომუნიკაცია აუდიტორიასთან – **2 ქულა**;
- პრეზენტაცია ბუნდოვანია და კომუნიკაციას ვერ ამყარებს აუდიტორიასთან – **1 ქულა**;
- ვერ მოახდინა პრეზენტირება - **0 ქულა**

**2.6. აუდიტორიის შევითხვებზე პასუხი - 3 ქულა:**

- ყველა შევითხვევას უპასუხა სწორად - **3 ქულა**;
- ზოგიერთ შევითხვევაზე არ ჰქონდა პასუხი, გაცემული პასუხები სწორია - **2 ქულა**;
- სწორად უპასუხა რამდენიმე შევითხვევას - **1 ქულა**;
- კითხვებზე არ აქვს პასუხი - **0 ქულა**

**მუხლი 3. საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება და კვალიფიკაციის მინიჭება**

1. საბაკალავრო პროგრამის ყველა კომპონენტის წარმატებით შესრულებისა და საბაკალავრო ნაშრომის დაცვისა და ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში (51-100 ქულა) კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და გაიცემა სათანადო დიპლომი;
2. საბაკალავრო ნაშრომის განმეორებით დაცვაზე წარმოდგენა შეიძლება იმავე სემესტრში, კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება 41-50 ქულა /FX-ის ვერ ჩააბარა/ საფუძველზე - არანაკლებ 10- დღიანი შუალედის დაცვით.

#### მუხლი 4. საბაკალავრო ნაშრომის გაფორმება

1. საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა არ უნდა იყოს A4 ზომის 30 გვერდზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს ამავე ფორმატის 50 გვერდს. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს სტანდარტული შრიფტით (Sylfaen), ძირითადი ნაწილის ზომა 12, სათაურები და ქვესათაურები - ზომა 14; სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5 ინტერვალი, დაშორება მარცხნიდან - 3სმ, მარჯვნიდან - 2სმ, ზემოთ - 2,5 სმ; ქვემოთ - 2,5 სმ.
2. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი კომპონენტები:
  - ა) **თავფურცელი** - წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის პირველ გვერდს და იგი უნდა შეივსოს დანართში მოყვანილი ნიმუშის მიხედვით;
  - ბ) **სარჩევი** - საბაკალავრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სარჩევს. მასში უნდა აისახოს ნაშრომის ყველა თავის, ქვეთავისა და პარაგრაფის დასახელება გვერდების ნომრების მითითებით. გვერდების ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან;
  - გ) **შესავალი** - ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალურობის დასაბუთება, მიზნები და დასმული ამოცანის (ამოცანების) შინაარსი, საკვლევი საგანი და გამოყენებული მეთოდები;
  - დ) **ტექსტის ძირითადი ნაწილი** - შეიძლება დაიყოს თავებად (პარაგრაფებად);
  - ე) **დასკვნა** - წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის შედეგების ამსახველ ნაწილს, რომელმაც უნდა უპასუხოს ყველა იმ ამოცანას, რომელიც ბაკალავრს გამოაქვს საჯარო დაცვაზე;
  - ვ) **გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა** - წარმოდგენილ უნდა იქნას ანბანური თანმიმდევრობით; ჯერ უნდა მიეთითოს გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ - უცხოურ ენებზე. სამეცნიერო ნაშრომის მითითებისას უნდა დასახელდეს ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება, წელი, ტომი, ნომერი, გვერდები; წიგნის ან მონოგრაფიის მითითებისას უნდა დასახელდეს სახელწოდება, ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, გამომცემლობა, გამოცემის წელი;
  - ზ) **დანართები** (საჭიროების შემთხვევაში) დანართში შეიძლება განთავსდეს მონაცემთა ცხრილები, ნახაზები, პროგრამები, გაანგარიშებები, დიაგრამები და ა.შ.
  - თ) **ანოტაცია** - საბაკალავრო ნაშრომის შეიძლება შეიცავდეს ანოტაციას ანუ მოკლედ, არაუმეტეს ორ გვერდად ჩამოყალიბებულ საბაკალავრო ნაშრომის თემის აქტუალურობას, მიზნებსა და დასკვნებს;
3. საბაკალავრო ნაშრომის ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის გამოტოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების განმეორება. ინომრება ყველა გვერდი, გარდა თავფურცელისა;
4. გამოყენებული ლიტერატურის ციტირება უნდა წარმოებდეს ძირითად ტექსტში ( როგორც წესი, აზნაცის ბოლოს) კვადრატულ ფრჩხილებში არაბული ციფრებით. ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა იქნეს მოყვანილი ნაშრომის ბოლოსაც;
5. სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ბოლოს, შრიფტის ზომა 10, ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი  
სეუ

ფაკულტეტის დასახელება

სტუდენტის სახელი, გვარი

*საბაკალავრო ნაშრომი*

თემის დასახელება

ხელმძღვანელი: გვარი,სახელი

ხარისხი, აკადემიური თანამდებობა

თბილისი

20\_\_

საბაკალავრო ნაშრომის დასკვნითი შეფასების უწყისი  
საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა/პრეზენტაცია

ფაკულტეტი \_\_\_\_\_  
საბაკალავრო პროგრამა \_\_\_\_\_  
სტუდენტი (სახელი, გვარი) \_\_\_\_\_

№	კომისიის წევრები	ნაშრომის ვიზუალური და ტექნიკური მხარე - 8 ქულა		ნაშრომის შინაარსობრივი მხარე - 22 ქულა						შეფასება	
		ვიზუალური მხარე - 4 ქულა:	ტექნიკური მხარე - 4 ქულა	ნაშრომის სისრულე - 4 ქულა	მსჯელობა და არგუმენტაცია - 4 ქულა	ლიტერატურის გამოყენების ხარისხი - 4 ქულა	აგებულება და ენობრივი გამართულობა - 4 ქულა	გადმოცემის, პრეზენტაციის უნარი - მაქსიმალური 3 ქულა	აუდიტორიის შეკითხვებზე პასუხი - 3 ქულა		
1											
2											
3											
4											
5											
		<b>სულ (საშუალო არითმეტიკული)</b>									

კომისიის თავმჯდომარე \_\_\_\_\_

კომისიის წევრების ხელმოწერა

1. \_\_\_\_\_
2. \_\_\_\_\_
3. \_\_\_\_\_
4. \_\_\_\_\_
5. \_\_\_\_\_

ფაკულტეტის დეკანი  
მდივანი

თარიღი /\_\_\_/\_\_\_/\_\_\_\_\_